ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებთან, რომლის თანახმადაც: პირველი, მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მეორე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ა“ ქვეპუნქტთან, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენას ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზრვრული წესით.

და ასევე შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების“ მე-11 მუხლის მე-7 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას ამტკიცებს საკრებულო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით

ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება, ასევე, განპირობებულია 2017 წელში მიმდინარე თვითმმართველობის რეფორმასთან, რომლის თანახმადაც განხორციელდა ცვლილება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“. ცვლილების თანახმად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოდ და მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირად გამგებლი/მერის ნაცვლად განისაზღვრა მერი, ხოლო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებრებულ დაწესებულებად - მერია.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვისა სამსახურის პრივატიზების განყოფილების უფროსი ლელა მდინარაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ - განკარგულების თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტთან, 61-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–25 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიული აქტი ძალას კარგავს თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*